ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2540375

ნომერი: AR1393934

თარიღი : 06.04.2016

გაცემის თარიღი : 13.04.2016

გაცნობის თარიღი : 14.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 64 / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/14) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/18) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/19) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი N2/24) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი 2/25) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 64 / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/14) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/18) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/19) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი N2/24) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი 2/25) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ მჭედლიშვილი პ/ნ 01008012186
- მოსეშვილის 1

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1393934 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.14.11.002.035 და #01.14.11.002.036 საკადასტრო ერთეულებზე მშენებლობას და ითხოვთ წარმოებაში ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2013 წლის 19 მარტის #595482 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზ.#64-ში / ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. #66-ის მიმდებარედ (ნაკვ. #2/14)/ ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი #2/18)/ ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი #2/19)/ ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. #66 -ში (ნაკვ. #2/24)/ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #66 -ში (ნაკვ. #2/25), მოქალაქე ლაშა პაპაშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.11.002.035) შეთანხმდა მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის მიწისქვეშა ავტოსადგომების (ა ბლოკი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. 2015 წლის 20 მარტის #1795556 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 19.03.2013წ. #595482 ბრძანებაში, კერძოდ მოხდა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.

2016 წლის 23 მარტს #AR1388840 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ანზორ პაპაშვილმა და მოითხოვა ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.11.002.035) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

2016 წლის 04 აპრილს #AR1393012 ელექტრონული განცხადებით სამსახურს კვლავ მომართა მოქალაქე ანზორ პაპაშვილმა და მოითხოვა 01.12.2012წ. #414250 გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

რაც შეეხება #01.14.11.002.036 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს გაცნობებთ, რომ 2015 წლის 03 აპრილის #1818552 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი, #64/ი. ჭავჭავაძის გამზირი #66–ს მიმდებარედ, (ნაკვ#2/14)/ი. ჭავჭავაძის გამზირი, #66–ს მიმდებარედ (ნაკვ#2/18)/ი. ჭაჭავაძის გამზირი #66–ს მიმდებარედ (ნაკვ#2/19)/ ჭავჭავაძის გამზირი, #66, (ნაკვ#2/24)/ ჭავჭავაძის გამზირი, #66 (ნაკვ#2/25), შპს ,,ჭავჭავაძის 64ბ"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.11.002.036) შეთანხმდა მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის მიწისქვეშა ავტოსადგომების (,,ბ" ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

2016 წლის 23 მარტის #AR1388179 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ანზორ პაპაშვილმა და მოითხოვა #01.14.11.002.036 და #01.14.11.002.013 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, სამსახურის მიერ 2012-2016 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.